



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ადმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

თარიღი: 14 ნოემბერი, 2021

სხდომის დაწყების დრო: 21:00 საათი

ადგილმდებარეობა: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ 11.

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე ადმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, გიორგი თევზაძე, ციცინო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი და მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ცისმარი სვინტრადის, ქეთევან მურცხვალაძის, ანი ხოჯელანის, სალომე ნიკოლაძის, გურამ ლეჭინაძის, ანასტასია მიქელაძის, გიორგი ჩავლეიშვილის, მარიამი სესიაშვილის, მარიამ ქველაძის, ლელა ბასილაიას, თამარი კაპანაძის, გიორგი მამუჩიშვილის, საბა მიქაძის, სანდრო სახვაძის, ნინო შანავას, შალვა გოგიაშვილის, სალომე ოკრიბელაშვილის, გიორგი ბერიძის, თამთა მელიქიძის, ნინო ნებიერიძის, თამარ სადუნაშვილის, რუსუდან ბაშალეიშვილის, აკაკი ქარსელაძის, გიორგი ჩხაიძის, თამარ ხავთასის, მაკა ლოლიაშვილის, ამირან ჯაფარიძის, მარიამ ჯაშის და ნატო უტურაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები

თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ცისმარი სვინტრადის, ქეთევან მურცხვალაძის, ანი ხოჯელანის, სალომე ნიკოლაძის, გურამ ლექვინაძის, ანასტასია მიქელაძის, გიორგი ჩავლეიშვილის, მარიამი სესიაშვილის, მარიამ ქველაძის, ლელა ბასილაიას, თამარი კაპანაძის, გიორგი მამუჩიშვილის, საბა მიქაძის, სანდრო სახვაძის, ნინო შანავას, შალვა გოგიაშვილის, სალომე ოკრიბელაშვილის, გიორგი ბერიძის, თამთა მელიქიძის, ნინო ნებიერიძის, თამარ სადუნაშვილის, რუსუდან ბაშალეიშვილის, აკაკი ქარსელაძის, გიორგი ჩხაიძის, თამარ ხავთასის, მაკა ლოლიაშვილის, ამირან ჯაფარიძის, მარიამ ჯაშის და ნატო უტურაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ მერაბ კაჭახიძის, პეტრე სალუქვაძის, ირმა ენდელაძის, მაკა მეტრეველის, თამარ სარჯველაძის და ვლასი გარდაფხაძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს მერაბ კაჭახიძის, პეტრე სალუქვაძის, ირმა ენდელაძის, მაკა მეტრეველის, თამარ სარჯველაძის და ვლასი გარდაფხაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ნინო ნებიერიძის, სალომე სუგულაძის, ადა ტაბატაძის, ნონა ციმინტიას, დავით კოპალეიშვილის განცხადებების წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო ნებიერიძის, სალომე სუგულაძის, ადა ტაბატაძის, ნონა ციმინტიას, დავით კოპალეიშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საარჩევნო საერთო კრების საორგანიზაციო საკითხების (კრების ჩატარების თარიღი, ადგილი, დღის წესრიგი და რეგლამენტი) განხილვა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქვეყანაში შექმნილი პანდემიური ვითარების გამო დაწესებული რეგულაციების და საარჩევნო საერთო კრების მასშტაბურობისა და მონაწილეთა სიმრავლის გათვალისწინებით, ასოციაციის წევრთა ჯანმრთელობის პრიორიტეტულად დაცვისა და ამავდროულად, კრების პროცესის შეუფერხებლად და გამჭვირვალედ განხორციელების მიზნით, ასოციაციამ შეიმუშავა სპეციალური, ინოვაციური ელექტრონული პორტალი, რომლის საშუალებით საარჩევნო საერთო კრება გაიმართება წევრთა დისტანციური დასწრებით, გარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნებისა, რომელიც ჩატარდება სათანადო ფიზიკურ სივრცეში, ფარული კენჭისყრის ტრადიციულ ფორმატში და ჯამში, საერთო კრების მიმდინარეობის პროცესი გადანაწილდება რამდენიმე დღეზე.

მან კრების ჩატარების თარიღად წევრებს შესთავაზა მიმდინარე წლის 4-11 დეკემბერი, თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნებისთვის ფარული კენჭისყრის ჩატარების ადგილად - „ექსპო ჯორჯია“, მე-11 პავილიონი (მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. №118) და განსახილველად წარუდგინა 4-11 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტის პროექტი დღის წესრიგთან ერთად.

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს დეტალურად გააცნო 2021 წლის საარჩევნო საერთო კრების ჩატარების ახალი ფორმატი და შესაბამისად სტრუქტურირებული კრების დღის წესრიგი:

- **04 დეკემბრის 10:00-დან 06 დეკემბრის 17:00-მდე** - კრებაზე რეგისტრაცია, ელექტრონული პორტალით - www.saertokreba.gba.ge

- **06 დეკემბერი, 18:00** - კვორუმის გამოცხადება და კრების გახსნა, ელექტრონული პორტალით - www.saertokreba.gba.ge
- **06 დეკემბრის 18:00-დან 07 დეკემბრის 10:00-მდე** - შესვენება
- **07 დეკემბრის 10:00-დან - 15:00-მდე** - ხმის დამთვლელი კომისიის წევრობის კანდიდატთა თვითნომინირება, ელექტრონული პორტალით - www.saertokreba.gba.ge
- **07 დეკემბრის 15:00-დან 17:00-მდე** - შესვენება
- **07 დეკემბრის 17:00-დან 09 დეკემბრის 17:00-მდე** - ხმის დამთვლელი კომისიის წევრების არჩევა (ხმის მიცემა), ელექტრონული პორტალით - www.saertokreba.gba.ge
- **09 დეკემბრის 18:00** - ხმის დამთვლელი კომისიის წევრების არჩევის შედეგების გამოცხადება, ელექტრონული პორტალით - www.saertokreba.gba.ge
- **09 დეკემბრის 18:00-დან 11 დეკემბრის 10:00-მდე** - შესვენება
- **11 დეკემბრის 10:00-დან - 19:00-მდე** - ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები (ფარული კენჭისყრა). მისამართი: თბილისი, წერეთლის №118, „ექსპო ჯორჯია“, მე-11 პავილიონი.
- **11 დეკემბრის 19:00-დან 21:00-მდე** - ხმების დათვლა
- **11 დეკემბრის 21:00** - არჩევნების შედეგების გამოცხადება
- **11 დეკემბრის 21:15** - კრების დახურვა

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათი მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებზეც მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია.

ასევე, წევრებმა იმსჯელეს საარჩევნო საერთო კრების რეგლამენტის პროექტის ირგვლივ. მათ განაცხადეს, რომ კრების რეგლამენტით განსაზღვრული პრინციპები და ძირითადი დებულებები მისაღებია და საარჩევნო საერთო კრების რეგლამენტით განსაზღვრული წესით ჩატარება მნიშვნელოვნათ ხელს შეუწყობს კრების სამართლიანად, ორგანიზებულად და გამჭვირვალედ ჩატარებას. ამასთან, რადგანაც რეგლამენტის პროექტი მოცულობითი დოკუმენტია, მცირედი ტექნიკური დეტალების დაზუსტების მიზნით მიზანშეწონილია მისი დამტკიცება მოხდეს აღმასრულებელი საბჭოს შემდეგ უახლოეს სხდომაზე.

საარჩევნო საერთო კრების საორგანიზაციო საკითხებზე მსჯელობის შემდეგ, თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის საარჩევნო საერთო კრების ჩატარების თარიღად მიმდინარე წლის 4-11 დეკემბრის, ჩატარების ადგილად - „ექსპო ჯორჯია“, მე-11 პავილიონის (მისამართი: თბილისი,

წერეთლის გამზ. №118) და საარჩევნო საერთო კრების დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის საარჩევნო საერთო კრების ჩატარების თარიღად დამტკიცდეს მიმდინარე წლის 04-11 დეკემბერი.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის საარჩევნო საერთო კრების ჩატარების ადგილად განისაზღვროს „ექსპო ჯორჯია“, მე-11 პავილიონი (მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. №118).
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის საარჩევნო საერთო კრების დღის წესრიგი დამტკიცდეს სხდომაზე წარმოდგენილი სახით.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის საარჩევნო საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცება მოხდეს საბჭოს მომდევნო სხდომაზე (დანართი 1).
- ადვოკატთა ასოციაციის აპარატს ეთხოვოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის საარჩევნო საერთო კრებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, ინფორმაციის გამოქვეყნება ასოციაციის ვებ-გვერდზე.

საკითხი 5. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ბექა მოსაშვილის, ირინე გორგიძის, ზურაბ კონცელიძის, მარი კაკაბაძის, სოფიო ყუბანეიშვილის, დავით ჯანიაშვილის, კახა კოჟორიძის, ნატო ქარჩაიძის, პაატა ხათაშვილის, ვლადიმერ სალაძის, დათო კესარელის და სოფიო ქურთაულის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ბექა მოსაშვილის, ირინე გორგიძის, ზურაბ კონცელიძის, მარი კაკაბაძის, სოფიო ყუბანეიშვილის, დავით ჯანიაშვილის, კახა კოჟორიძის, ნატო ქარჩაიძის, პაატა ხათაშვილის, ვლადიმერ სალაძის, დათო კესარელის

და სოფიო ქურთაულის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 6. 2021 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღების და ადგილის დამტკიცება.

აღმასრულებელმა მდივანმა - გორგი ჭეხანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, 2021 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღებად 2021 წლის 17, 20, 21, 22, 23, 24 დეკემბრის, ხოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების თარიღად 2021 წლის 25 დეკემბრის - განსაზღვრის შესახებ.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: 2021 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღებად დამტკიცდეს 2021 წლის 17, 20, 21, 22, 23, 24 დეკემბერი, ხოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების თარიღად - 2021 წლის 25 დეკემბერი.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე